

საქართველოს კანონი

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ. №24, 02.07.2007, მუხ. 218) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი წესით, თუ ექვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული გადახდისუუნაროა.“

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. განსაკუთრებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ იმ პირისათვის, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.“

3. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით.“

4. მე-3 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა და საქმიანობის დამოუკიდებლობის გარანტიები“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ მუხლი:

„მუხლი 8¹. სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობის გარანტიები
სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია დაუშვებელია მის საქმიანობაზე ზემოქმედება.“

6. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იურიდიული დახმარების სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შექმავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას და თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი (შემდგომში - მინისტრი)“.

7. მე-9 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამსახურის საქმიანობის, ამ კანონის, სამსახურის დებულებისა და სხვა აქტების შესრულების, გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ეფექტიანობის ზედამხედველობა სამსახურის დირექტორის ანგარიშებისა და მონიტორინგის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე“.

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება სამეთვალყურეო ორგანო - იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო (შემდგომში - საბჭო).

2. საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ერთი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეს, ერთი - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრს, ხოლო ერთი - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს. საბჭოს საქმიანობაში წევრის სახით მონაწილეობს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე.

9. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ დირექტორი და იურიდიული დახმარების ბიუროს 2 წარმომადგენელი“.

10. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საბჭო.“.

11. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. საბჭოს ფუნქციები
საბჭო:

- ა) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- ბ) ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს სამსახურის სტრატეგიას, ახორციელებს მონიტორინგს სამსახურის სტრატეგიის შესრულებაზე;
- გ) სამსახურის ფუნქციონირების დახვეწის მიზნით დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს და განსახილველად წარუდგენს მინისტრს;
- დ) ისმენს დირექტორის კვარტალურ და წლიურ ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ;
- ე) ყოველი საბიუჯეტო წლის ბოლოს ისმენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ფინანსურ ანგარიშს;
- ვ) ახორციელებს ამ კანონით და საბჭოს დებულებებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

12. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ ქვეპუნქტი:

„ღ) რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობების განსაზღვრა.“.

13. მე-17 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. საკონსულტაციო ცენტრი“.

14. მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც არ მოქმედებს იურიდიული დახმარების ბიურო, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს საკონსულტაციო ცენტრი.“.

15. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. რეესტრი

1. რეესტრში დარეგისტრირებული ადვოკატი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლის ან საკონსულტაციო ცენტრის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს იურიდიულ დახმარებას სახელმწიფოს ხარჯზე.
2. რეესტრს აწარმოებს სამსახური. რეესტრში ადვოკატის რეგისტრაცია ხორციელდება ადვოკატის განცხადების საფუძველზე, ღია კონკურსის გზით.
3. რეესტრისა და განცხადების ფორმებს ადგენს დირექტორი და ამტკიცებს მინისტრი.“.

16. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. ანგარიშგების ფორმა

საზოგადოებრივი ადვოკატი, მათ შორის, რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი, ვალდებულია, გაწეული იურიდიული დახმარების შესახებ ანგარიშში დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში წარუდგინოს შესაბამის იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებელს ან საკონსულტაციო ცენტრს.“.

17. 21-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი:

ა) ეჭვიანილის, ბრალდებულის, განსახილველის, მსჯავრდებულის ან მისი წარმომადგენლის ან/და ახლო ნათესავის მიმართვის საფუძველზე;

ბ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი განიხილავს პირის მიმართვას, არკვევს, აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს, და იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.“.

18. მე-5 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი V. სამსახურის საქმიანობის ფინანსური გარანტიები“.

19. მე-5 თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22¹ მუხლი:

„მუხლი 22¹. სამსახურის მიმდინარე ხარჯების შემცირების დაუშვებლობა სახელმწიფო ბიუჯეტში სამსახურისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო ხაზრების ოდენობასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს თანხმობით.“.

20. 23-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

21. 24-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური და ჩამოყალიბდეს საქართველოს სახელდასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

2. საქართველოს სახელდასრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო

სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამონაცვლე.

3. საქართველოს იუსტიციისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობის ამ კანონთან შესაბამისობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

5. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებათა კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურისათვის.

6. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი (მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ბალანსზე რიცხული) ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გადაცემა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი